04/06/2024

MES 6 24 0000616723

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 21 მაისს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: May 21, 2024 02:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=89333356738
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
ია ერაძე - დირექტორი
ნათელა ჩაჩუა - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
გიორგი მაღლაკელიძე - დირექტორი
დათუნა რაქვიაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ზაზა ამირეჯიბი - საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამების მენეჯერი
ლაშა გოლეთიანი - მოკლევადიანი მომზადება გადამზადების პროგრამების მენეჯერი
ნინო ხაჩიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
გვანცა გურჩიანი - სასწავლო პროცესის მენეჯერი

პროფესიულიმომზადებისპროგრამებისადაპროფესიულიგადამზადებისპროგრამების დარგის ე ქსპერტები:
შალვა ჯულაყიძე
ირაკლი ჟღენტი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:06 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:
1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA) მუშაობა“ /01889/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ალპინისტი მაშველი 1 დონე“ /01899/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ალპინისტი მაშველი 2 დონე“ /01900/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ალპინისტი მაშველი 3 დონე“ /01901/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში მუშაობა“ /01889/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა შალვა ჯულაყიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 10 აპრილის №412577 ბრძანების საფუძველზე, ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა და დარგის მოწვეულმა ექსპერტმა შალვა ჯულაყიძემ 2024 წლის 19 აპრილს განახორციელეს ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში, მისამართზე: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, №18- 22, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე

და შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის ,,სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA) მუშაობა“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაცია 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 1.2 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

დაკორექტირდეს პროგრამის სახელწოდება, კერძოდ, სახელწოდებაში „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA) მუშაობა“ - ტერმინი (SPA) არ წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის აბრევიატურას, შესაბამისად მიზანშეწონილია ის ჩანაცვლდეს შემდეგნაირად: „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (procurement.gov.ge) მუშაობა“.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5, პროგრამის ხანგრძლივობა 8 კვირა, სწავლების ენა ქართული, მსმენელეთა ზღვრული რაოდენობა 80, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, №18- 22.

მან მოკლედ მიმოიხილა სტანდარტები.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით შალვა ჯულაყიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ეს პროგრამა ხელმეორედ წარმოადგინა განხორციელების უფლების მოსაპოვებლად, შესაბამისად პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთების დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი, თუ რამდენად აქტუალურია ეს სფერო, რომ საქართველოს მთავრობისთვის ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბოლო წლებია ყოველგვარი სახელმწიფო შესყიდვა ელექტრონულად მიმდინარეობს რასაც შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე საკადრო რესურსიც ესაჭიროება. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული პროფესიული მომზადების პროგრამა პერსპექტიულია და სავსებით აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ვინაიდან ორივე მიმართულებით უზრუნველყოფს კადრების მომზადებას, ასევე, მათთვის საჭირო ცოდნის გაზიარებას ერთი, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციების კუთხით და მეორე, როგორც სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებში მონაწილე კომპანიების მხრიდან.
დარგის ექსპერტის განცხადებით პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, ასევე, პროგრამის ფარგლებში განვითარებული კომპეტენციები ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში შემსყიდველის მხრიდან არსებული რისკების შემცირებას და იმავდროულად გაზრდის მეწარმე იურიდიული პირების შესაძლებლობებს განახორციელონ საკუთარი საქონლის, მომსახურების და სამუშაოს შეთავაზება სახელმწიფო დაწესებულებებისათვის.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის - სრული ზოგადი განათლება, მსმენელთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს ოთხი სწავლის შედეგის მიღწევას. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამაზე მოთხოვნილია 80 მსმენელი, პროგრამის ხანგრძლივობაა 8 კვირა და თითოეული კვირის საათობრივი დატვირთვა 8 საათს მოიცავს. პროფესიული მომზადების პროგრამისთვის დაწესებულებას აქვს შესაბამისად მოწყობილი და აღჭურვილი ორი B გარემო, შესაბამისად პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც გულისხმობს შემდეგს: სწავლება ძირითადად მიმდინარეობს ვებ-გვერდის: www.procurement.gov.ge გამოყენებით, სადაც სატესტო რეჟიმში

ხელმისაწვდომია და პრაქტიკულად ხდება ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების თანმიმდევრული განხორციელება.

სასწავლო პროცესში განმახორციელებლები იყენებენ მრავალფეროვან სწავლების მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, აღნიშნული გაწერილია წარმოდგენილ მსმენელთა შეფასების წესში.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება ორი განმახორციელებლი პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაცნობით, ასევე, ვიზიტის ფარგლებში მათთან პირისპირ გასაუბრებით, მატერიალური რესურსის ადგილზე დათვალიერებითა და წარმოდგენილი სასწავლო რესურსის გადახედვით.
დარგის ექსპერტის განმარტებით, განხილული პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება დაწესებულებამ თავდაპირველად 2021 წელს მოიპოვა, როდესაც ჯერ კიდევ დასაშვები იყო დისტანციური სწავლება და სწორედ, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამ ფორმით მოხდა ორი ნაკადის ფარგლებში 50 მსმენელის გამოშვება. აკადემიის წარმომადგენელთა განცხადებით, მათ ძალიან კარგი გამოცდილება აქვთ დისტანციური სწავლების მხრივ, თუმცა ამჟამად ეს დაშვება შეზღუდულია და მხოლოდ „პროფესიული განათლების შესახებ კანონში“ დაინიცირებული ცვლილების შეტანის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი აღნიშნული პროგრამის განხორციელება კვლავ დისტანციურად, მაგ: MS TEAMS-ს ელექტრონულ პლატფორმაზეც.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს - პროგრამის ადმინისტრირებას, მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია.

ცენტრის წარმომადგენლის - ნონა საათაშვილის განცხადებით დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს მესამე სტანდარტის ქვესტანდარტების მოთხოვნებს, ვინაიდან კოლეჯი SBA განვითარებაზე ორიენტირებული და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც გარდა გრძელვადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისა სხვადასხვა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებსაც წარმატებით ახორციელებს.
კოლეჯი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან;

კოლეჯი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას ვებგვერდის, სოციალური ქსელისა და სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით;

კოლეჯი საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს;

კოლეჯი გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს სერტიფიკატს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტსა და ცენტრის წარმომადგენელს ამომწურავი პრეზენტაციის წარმოდგენისთვის, მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ ეთანხმებოდნენ ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით, იმისათვის, რომ ეს ინფორმაცია ზედმიწევნით ასახულიყო საბჭოს სხდომის ოქმსა და გადაწყვეტილებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა მოწვეულ დარგის ექსპერტს პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცესში მონაწილეობისათვის და თანამშრომლობისათვის, მან აღნიშნა, რომ ეთანხმება გაცემულ რეკომენდაციას და აღნიშნული საკითხი უკვე მოწესრიგებულია და ცვლილება პროგრამის სახელწოდების შესახებ ბრძანებით არის დამტკიცებული.
საბჭოს თავმჯდომარემ დაუსვა კითხვა დაწესებულების წარმომადგენელს, ვინაიდან უკვე ორი მიღება განხორციელდა განხილული პროგრამის ფარგლებში და ეს პროგრამა მართლაც მნიშვნელოვანი და აქტუალურია დღესდღეობით, როგორია მათი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა საკმაოდ აქტუალურია და წარმატებით განხორციელდა, მასზე მოთხოვნა დღითიდღე იმატებს, ხოლო რაც შეეხება კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხს, დაწესებულება ამ მხრივ აქტიურად არის ჩართული, პერიოდულად აწვდის დამსაქმებლებს შესაბამის ინფორმაციას, ამიტომ დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის გაზიარების შესახებ, პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებიდან სრულად იქნებოდა, თუ არა ამოღებული ლათინური აბრევიატურა.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით პროგრამის სახელწოდებიდან სრულად იქნება ამოღებული ლათინური აბრევიატურა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში მუშაობა“ /01889/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების,

მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის (ს/კ: 406037550) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში მუშაობა /01889/ **(დანართი 1)**.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 24 ივნისი.

2. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ალპინისტი მაშველი 1 დონე“ /01899/ მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხის, სოფ. სვერის და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა - ირაკლი ჟღენტმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 4 აპრილის №394952 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ირაკლი ჟღენტმა დისტანციურად განახორციელეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის (შემდგომში-სკოლა) პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ალპინისტი მაშველი 1 დონე'' განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით.ექსპერტმა აღნიშნა, რომ შესწავლის პროცესში
ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა რეკომენდაცია 1.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში.
ქვესტანდარტი 1.4 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში
წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის დოკუმენტში პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში განსაზღვრულია მისაღები ტური, სადაც ერთ - ერთი პირობაა ,,ალპინისტური ფეხსაცმლით ცოცვა IV-V UIAA მარშრუტზე'', რადგან აღნიშნული პროგრამა

გათვალისწინებულია საბაზისო სამოყვარულო გამოცდილების მქონე პირებისთვის რთული იქნება აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება აპლიკანტის მიერ,
ამიტომ მიზანშეწონილია "ალპინისტური ფეხსაცმლით ცოცვა IV-V UIAA მარშრუტზე" არ განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების სახეა გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4, პროგრამის ხანგრძლივობა 9 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელეთა ზღვრული რაოდენობა 12, პროგრამის განხორციელების ადგილი - მესტია, ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალები; ლენტეხი- ზესხოს მასივი; ჭიათურის რაიონი, სოფ. კაცხი, სოფ. სვერი და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები.
მან მოკლედ მიმოიხილა სტანდარტები.

პროგრამის სახელწოდებათან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ალპინისტი მაშველი 1 დონე", შეესაბამება პროგრამის შინაარს.
სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან და თემატიკიდან, არ არის დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი.

დარგის ექსპერტის განცხადებით პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის ფარგლებში სამთო-სათავგადასავლო აქტივობების საბაზისო გამოცდილების მქონე მოყვარულები, ვინც მზად არიან საკუთარი სამოყვარულო აქტივობები დახვეწონ პროფესიულ საქმიანობაში და გადამზადნენ პირველი დონის ალპინისტ-მაშველებად, შეძლებენ დაიწყონ და შემდგომ დონეების შესაბამისად განავითარონ თავიანთი პროფესიული კარიერა.
პროგრამა მიზანად ისახავს, სათავგაგდასავლო ტურიზმის და სამთო-სამაშველო ინდუსტრიას მიაწოდოს კვალიფიციური კადრები, რომლებიც მომზადებულნი იქნებიან ტექნიკურად და შეძლებენ ჩაერთონ სერტიფიცირებული ალპური და სამთო გამყოლის მეთვალყურეობით და ხელმძღვანელობის ქვეშ სალაშქრო და I-II UIAA კატეგორიის ალპინისტურ მარშრუტებზე დაზარალებულის ევაკუაციის ოპერაციებში; დამოუკიდებლად დაგეგმონ და ორგანიზება გაუწიონ ალპინისტური ექსპედიციის ლოგისტიკურ მომსახურებას საბაზო ბანაკამდე; იმუშავონ ალპინიზმის ინსტრუქტორის ასისტენტად I-II UIAA კატეგორიის მარშრუტებზე.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის - ასაკი - 18;
აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.
საკონკურსო ტური - ფიზიკური კონდიციის ტესტი: (1500-2000 სიმაღლეთა სხვაობა).
ტექნიკური უნარების ტესტი: საცოცი ფეხსაცმლით ცოცვა IV-V UIAA სირთულის კლდოვან მარშრუტზე;
ალპინისტური ფეხსაცმლით ცოცვა IV-V UIAA მარშრუტზე, რაც დარგის ექსპერტის მიერ რეკომენდებულია ამოღებულ იქნას).
პროგრამაზე სწავლის მსურველს სხვა მოთხოვნებიც აქვს დასაკმაყოფილებელი, როგორებიც არის, მაგალითად, პროგრამაზე სწავლისათვის საჭირო აღჭურვილობა, საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრებისა და კვების ხარჯიც, ასევე, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 100).
პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს 8 სწავლის შედეგის მიღწევას. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამაზე მოთხოვნილია 12 მსმენელი, პროგრამის ხანგრძლივობაა 9 კვირა და თითოეული კვირის საათობრივი დატვირთვა 40 საათს მოიცავს. პროფესიული გადამზადების პროგრამის სასწავლო პროცესი განხორციელდება სამი სეზონის (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა) განმავლობაში.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას და თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად ხორციელდება c - სასწავლო გარემოში, საველე პირობებში, ინსტრუქტაჟის გზით, მათ შორის, პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილიც წლის სამი სეზონის განმავლობაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას მსმენელებისთვის ყველა საკვანძო საბაზისო ტექნიკური უნარების შესწავლა ყველა შესაძლო რელიეფზე.
სკოლას გადამზადების პროგრამის განხორციელებაში ჩართული ჰყავს 3 პარტნიორი ორგანიზაცია.
სასწავლო პროცესში განმახორციელებლები იყენებენ მრავალფეროვან სწავლების მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, აღნიშნული გაწერილია წარმოდგენილ მსმენელთა შეფასების წესში.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს - პროგრამის ადმინისტრირებას, მესამე სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის "ალპინისტი მაშველი 1 დონე" /01899/ მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხის, სოფ. სვერის და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 429322985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ალპინისტი მაშველი 1 დონე /01899/ მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხის, სოფ. სვერის და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე **(დანართი 2).**

3. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ალპინისტი მაშველი 2 დონე" /01900/ მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხის,

სოფ. სვერის და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა - ირაკლი ჟღენტმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) 2024 წლის 4 აპრილის №394951 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ირაკლი ჟღენტმა დისტანციურად განახორციელეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის (შემდგომში-სკოლა) პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ალპინისტი მაშველი 2 დონე'' განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით.
ექსპერტთა მხრიდან ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების სახეა გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5, პროგრამის ხანგრძლივობა 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელეთა ზღვრული რაოდენობა 12, პროგრამის განხორციელების ადგილი - მესტია, ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალები; ლენტეხი- ზესხოს მასივი; ჭიათურის რაიონი, სოფ. კაცხი, სოფ. სვერი და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები.
მან მოკლედ მიმოიხილა სტანდარტები.

პროგრამის სახელწოდებათან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ალპინისტი მაშველი 2 დონე“, შეესაბამება პროგრამის შინაარს. სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან, ასევე, თემატიკიდან, არ არის დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი.

დარგის ექსპერტის განცხადებით პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროგრამა მიზანად ისახავს, გადაამზადოს პრაქტიკოსი ალპინისტები, სერტიფიცირებული და არაფორმალური განათლების მქონე ალპინისტი-მაშველები II დონის ალპინისტ მაშველებად, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას განავითარონ პროფესიული კარიერა. პროგრამის მიზანია

ალპინიზმის, სათავგაგდასავლო ტურიზმის და სამთო-სამაშველო ინდუსტრიას მიაწოდოს კვალიფიცირებული კადრები, რომლებიც მომზადებულები იქნებიან ტექნიკურად და შეძლებენ ჩაერთონ სერტიფიცირებული ალპური და სამთო გამყოლის მეთვალყურეობით და ხელმძღვანელობის ქვეშ სალაშქრო და I-IV UIAA კატეგორიის ალპინისტურ მარშრუტებზე დაზარალებულის ევაკუაციის ოპერაციებში, დამოუკიდებლად დაგეგმონ და ორგანიზება გაუწიონ ალპინისტური ექსპედიციის ლოგისტიკურ მომსახურებას საბაზო ბანაკამდე, იმუშავონ ალპინიზმის ინსტრუქტორის ასისტენტად III-IV UIAA კატეგორიის მარშრუტებზე.
დარგის ექსპერტის განმარტებით, პროფესიული გადამზადების აღნიშნულ პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით, სადაც საჭიროა პროფესიული უნარ-ჩვევების დემონსტრირება.
ასევ ჩატარდება კონკურსი: „ალპინისტი-მაშველის I დონის“ დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან სამი ასვლა II UIAA სირთულის მარშრუტებზე და VI UIAA – ზე ცოცვა. ექსპერტის თქმით აქ დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა, რაც უნდა დაკორექტირდეს და ჩაიწეროს **V კატეგორიის სირთულის მარშრუტზე ცოცვა**).
აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის მსურველს, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, სხვა მოთხოვნებიც აქვს დასაკმაყოფილებელი, როგორებიც არის მაგალითად პროგრამაზე სწავლისათვის საჭირო აღჭურვილობა, საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრებისა და კვების ხარჯიც, ასევე, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 100).
პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს 6 სწავლის შედეგის მიღწევას. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამაზე მოთხოვნილია 12 მსმენელი, პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა და თითოეული კვირის საათობრივი დატვირთვა 40 საათს მოიცავს. პროგრამაში გათვალისწინებულია, როგორც პრაქტიკული კომპონენტი ასევე, თეორიული ნაწილიც, რომელიც ისწავლება საველე პირობებში ინსტრუქტაჟის გზით. პროფესიული გადამზადების პროგრამის სასწავლო პროცესი განხორციელდება სამი სეზონის (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა) განმავლობაში.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას და თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად ხორციელდება c - სასწავლო გარემოში, საველე პირობებში, ინსტრუქტაჟის გზით, მათ შორის, პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილიც წლის სამი სეზონის განმავლობაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას მსმენელებისთვის ყველა საკვანძო საბაზისო ტექნიკური უნარების შესწავლა ყველა შესაძლო რელიეფზე.
სკოლას გადამზადების პროგრამის განხორციელებაში ჩართული ჰყავს 3 პარტნიორი ორგანიზაცია.
სასწავლო პროცესში განმახორციელებლები იყენებენ მრავალფეროვან სწავლების მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, აღნიშნული გაწერილია წარმოდგენილ მსმენელთა შეფასების წესში.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს - პროგრამის ადმინისტრირებას, მესამე სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის "ალპინისტი მაშველი 2 დონე" /01900/ მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხის, სოფ. სვერის და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 429322985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ალპინისტი მაშველი 2 დონე /01900/ მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხის, სოფ. სვერის და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე **(დანართი 3).**

4. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ალპინისტი მაშველი 3 დონე" /01901/ მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხის, სოფ. სვერის და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ

მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა - ირაკლი ჟღენტმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) 2024 წლის 4 აპრილის №394953 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ირაკლი ჟღენტმა დისტანციურად განახორციელეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის (შემდგომში-სკოლა) პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ალპინისტი მაშველი 3 დონე'' განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით.
ექსპერტთა მიერ ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების სახეა გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5, პროგრამის ხანგრძლივობა 14 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელეთა ზღვრული რაოდენობა 12, პროგრამის განხორციელების ადგილი - მესტია, ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალები; ლენტეხი- ზესხოს მასივი; ჭიათურის რაიონი, სოფ. კაცხი, სოფ. სვერი და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები.
მან მოკლედ მიმოიხილა სტანდარტები.

პროგრამის სახელწოდებათან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ალპინისტი მაშველი 3 დონე“, შეესაბამება პროგრამის შინაარს.
სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან, ასევე, თემატიკიდან, არ არის დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი.

დარგის ექსპერტის განცხადებით პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროგრამა მიზანად ისახავს, მიზანია გადაამზადოს პრაქტიკოსი ალპინისტები, სერტიფიცირებული და არაფორმალური განათლების მქონე ალპინისტი-მაშველები III დონის ალპინისტ-მაშველებად, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას განავითარონ პროფესიული კარიერა.
პროგრამა მიზნად ისახავს მიაწოდოს ალპინიზმს, სათავგადასავლო ტურიზმს და სამთო-სამაშველო ინდუსტრიას პროფესიისთვის შესაბამისად გადამზადებული კვალიფიცირებული კადრები, რომლებიც მომზადებულები იქნებიან ტექნიკურად და მათი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებენ სალაშქრო ტურებზე უხელმძღვანელონ საძიებო-სამაშველო და დაზარალებულის ევაკუაციის ოპერაციებს, ალპინისტური მარშრუტებზე სერტიფიცირებული სამთო გამყოლის ხელმძღვანელობის ქვეშ მონაწილეობა მიიღონ სალაშქრო და I-V UIAA კატეგორიის საძიებო-სამაშველო და დაზარალებულის ევაკუაციის ოპერაციებში, დაგეგმონ და ორგანიზება გაუწიონ ალპინისტურ ექსპედიციებს, იმუშაონ ალპინიზმის ინსტრუქტორად I-V UIAA კატეგორიის მრშრუტებზე. დარგის ექსპერტის განმარტებით, პროფესიული გადამზადების აღნიშნულ პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით, სადაც საჭიროა პროფესიული უნარ-ჩვევების დემონსტრირება.
ასევ ჩატარდება კონკურსი: „ალპინისტი-მაშველის 2 დონის“ დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან გავლილი უნდა ქონდეს ოთხი III UIAA სირთულის მარშრუტი და ერთი IV UIAA სირთულის მარშრუტი თავისი ლიდერობით.

ექსპერტის განცხადებით, აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის მსურველს, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, სხვა მოთხოვნებიც აქვს დასაკმაყოფილებელი, როგორებიც არის მაგალითად პროგრამაზე სწავლისათვის საჭირო აღჭურვილობა, საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრებისა და კვების ხარჯიც, ასევე, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 100). პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს 4 სწავლის შედეგის მიღწევას. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამაზე მოთხოვნილია 12 მსმენელი, პროგრამის ხანგრძლივობაა 14 კვირა და თითოეული კვირის საათობრივი დატვირთვა 40 საათს მოიცავს. პროგრამაში გათვალისწინებულია, როგორც პრაქტიკული კომპონენტი ასევე, თეორიული ნაწილიც, რომელიც ისწავლება საველე პირობებში ინსტრუქტაჟის გზით. პროფესიული გადამზადების პროგრამის სასწავლო პროცესი განხორციელდება სამი სეზონის (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა) განმავლობაში.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას და თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე სრულად ხორციელდება c - სასწავლო გარემოში, საველე პირობებში, ინსტრუქტაჟის გზით, მათ შორის, პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილიც წლის სამი სეზონის განმავლობაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას მსმენელებისთვის ყველა საკვანძო საბაზისო ტექნიკური უნარების შესწავლა ყველა შესაძლო რელიეფზე.
სკოლას გადამზადების პროგრამის განხორციელებაში ჩართული ჰყავს 3 პარტნიორი ორგანიზაცია.
სასწავლო პროცესში განმახორციელებლები იყენებენ მრავალფეროვან სწავლების მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, აღნიშნული გაწერილია წარმოდგენილ მსმენელთა შეფასების წესში.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს - პროგრამის ადმინისტრირებას, მესამე სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის "ალპინისტი მაშველი 3 დონე" /01901/ მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხის, სოფ. სვერის და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 429322985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ალპინისტი მაშველი 3 დონე /01901/ მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხის, სოფ. სვერის და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე **(დანართი 4).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 15:05 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01889	სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში მუშაობა	მომზადება	მეხუთე	8	ქართული	80	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18-22

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01899	ალპინისტი მაშველი 1 დონე	გადამზადება	მეოთხე	9	ქართული	12	მესტიიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალები; ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივი; ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხი, სოფ. სვერი და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01900	ალპინისტი მაშველი 2 დონე	გადამზადება	მეხუთე	12	ქართული	12	მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალები; ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივი; ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხი, სოფ. სვერი და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01901	ალპინისტი მაშველი 3 დონე	გადამზადება	მეხუთე	14	ქართული	12	მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალები; ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივი; ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხი, სოფ. სვერი და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები